განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ

## “სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

ა(ა)იპ – საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
21.06.2022წ.

დასკვნის წარდგენის თარიღი
11.07.2022წ.

თბილისი

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | ა(ა)იპ – საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 205233022 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | სამართალი |
| უმაღლესი განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2] | სამართლის მაგისტრი |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | სამართალი, 0421 |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში) | - |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 120 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | აკრედიტებული 2017 წლის 10 ივლისის N42 გადაწყვეტილება |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნინო მესხიშვილი, შპს აჭარა ჯგუფი“ იურიდიული დეპარტამენტის დირექტორი. საქართველოს უნივერსიტეტი, კავკასიის უნივერსიტეტი ასოცირებული პროფესორი. |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | მაკა კარტოზია, შპს აღმოსავლეთ ევროპის უნვერსიტეტის აფილირებული პროფესორი, კავკასიის უნივერსიტეტის |

[1] ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

| | |
|---|---|
| | პროფესორი, საქართველო |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ა(ა)იპ – საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულმა უნივერსიტეტმა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოადგინა თვითშეფასების ანგარიში და მასზე თანდართული დოკუმენტები „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 10.07.2017წ. #42 გადაწყვეტილებით სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მინიჭებული აქვს 7 წლის ვადით აკრედიტაცია. პროგრამა აგებულია თეორიული, პრაქტიკული და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების, მათ შორის, არჩევითი კომპონენტების იმდაგვარ ბალანსზე, რომელიც მიმართულია ბაზრის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, მოამზადოს ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტი, სამართლის მაგისტრი, რომელიც სამომავლო წარმატებული პროფესიული განვითარებისათვის, აღჭურვილი იქნება შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილებით და ამასთან, დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევისათვის საჭირო კომპეტენციებით. სამართლის სამაგისტრო პორგრამა 120 ECTS კრედიტს მოიცავს. პროგრამის კომპონენტებია: სასწავლო კომპონენტი (60 კრედიტი), პრაქტიკული კომპონენტი (30 კრედიტი) და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი (30 კრედიტი). სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება აქვს სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამართლის მიმართულების სადოქტორო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის მკვლევარის მომზადებაზე.
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობაში მოყვანის მიზნით დაწესებულებას პროგრამაში განხორციელებული აქვს გარკვეული ცვლილებები.
ამასთან, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიციის (MES 4 22 0000779624, 08/07/2022) „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის დასკვნის პროექტებში მოყვანილ გარემოებებთან დაკავშირებით, დაწესებულება არგუმენტირებული პიზიციის წერილში ეთანხმება ექსპერტთა დასკვნის პროექტის დოკუმენტებში ასახულ მოსაზრებებს.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ექსპერტთა ჯგუფის მიერ დისტანციურად, დაწესებულების მიერ მოწოდებული მასალების/ინფორმაციის შესწავლა-შეფასების შედეგად დადგინდა, რომ ა(ა)იპ – საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა სრულად შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების შეფასებულ სტანდარტებთან (სტანდარტები: 1, 2, 4):

- რეკომენდაციები

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, სილაბუსებში აისახოს უახლესი წყაროები/ლიტერატურა (ლექტორის აკადემიური თავისუფლების დაცვით)

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს და სამართლის დარგობრივ მახასიათებლებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, შეიცვალა ა(ა)იპ -საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის უნივერსიტეტის „სამართლის" სამაგისტრო საგანამათლებლო პროგრამის მიზნები. წარმოდგენილი პროგრამის მიზანია სტუდენტს შესძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა: კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლისა და შედარებითი სამართალმცოდნეობის სფეროში; ეროვნული და უცხოური სამართლის სისტემების ძირითადი თავისებურებების, სამართლის თეორიების, ინსტიტუტების, მატერიალური და პროცესუალური სამართლის ნორმების, ზოგადსამართლებრივი პრინციპების, ფასეულობებისა და ღირებულებების შესახებ;<br>გამოუმუშავოს: საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკისა და მეცნიერული სიახლეებისადმი ყურადღების მიდევნების, აგრეთვე ცოდნის მუდმივი განახლების უნარი; სამართლის სფეროში მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში ეფექტურად გამოყენების უნარი და სპეციალობით საქმიანობისათვის აუცილებელი სხვა უნარები; სამართლის სფეროში სამართლებრივი პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის, აგრეთვე საკითხის შეფასების, ანალიზის, მსჯელობის, დასაბუთების, ამოცანების გადაწყვეტისთვის აუცილებელი უნარები; სამართლის სფეროში პრაქტიკული საქმიანობისას სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების დაცვის უნარი; დამოუკიდებელი კვლევის უნარი; სამართლებრივ-ეთიკური ღირებულებების კონტექსტუალური ანალიზის უნარი; თანამედროვე სამართლებრივი აზროვნების უნარი.<br>პროგრამით ჩამოყალიბებული მიზნები მიმართულია სამართლის მაგისტრის მომზადებისკენ, რომელიც აღჭურვილი იქნება შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილებით და ამასთან, დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევისათვის საჭირო კომპეტენციებით. სამართლის სამაგისტრო პროგრამის მიზნები შეესაბამება სამართლის დარგობრივი მახასიათებლის და ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებს, არის მიღწევადი და გაზომვადი.<br>პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილ სილაბუსებშიც, დარგების მიხედვით, |

დადგენილია მიზნები, რაც შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;

➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებული სახელობის ქართული უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სამართლის სამაგისტრო პროგრამის და თანდართული დოკუმენტაციის მიხედვით, პროგრამის სწავლის შედეგებია:

1.ახდენს კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნის დემონსტრირებას, რაც აძლევს დასმული კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახლებური ხედვის ფორმირების შესაძლებლობას; აცნობიერებს კერძო, სისხლის ან/და საჯარო სამართლის სფეროსათვის მიკუთვნებული საკითხების გადაჭრის გზები; ასევე, აღწერს სამოსამართლეო ეთიკის წესებს, ხსნის ევროკავშირის სამართლის გავლენის მნიშვნელობას ქართული სამართლის განვითარებაზე;

2.განმარტების მეთოდების გამოყენებით ახდენს კერძო-სამართლებრივი, სისხლისამართლებრივი ან საჯარო-სამართლებრივი პრობლემების კომპლექსურ შეფასებას და მათი გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიებას. შეუძლია უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით კერძო, სისხლის ან/და საჯარო სამართლის სფეროში კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება;

3.აანალიზებს ცვლილებებს ახლებური საკანონმდებლო მოწესრიგების, სასამართლო პრაქტიკისა ან მეცნიერული მიდგომების (მათ შორის, უახლესი კვლევების) პირობებში და შეუძლია დასაბუთებული სამართლებრივი დასკვნის ჩამოყალიბება.

4.მსჯელობს აკადემიური და პროფესიული საზოგადოების წარმომადგენებთან საკუთარი სამართლებრივი დასკვნებისა და არგუმენტების თაობაზე და შეუძლია მათი გადაცემა წერილობითი და ზეპირი ფორმით, მშობლიურ და უცხოურ ენაზე.

5.შეუძლია თეორიული კომპონენტებისა და პრაქტიკული გამოცდილების სინთეზის საფუძველზე საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა და გააჩნია პირველადი წყაროების, სამეცნიერო სტატიებისა თუ სასამართლო გადაწყვეტილებების განზოგადებული ანალიზის მეშვეობით, უახლეს მეთოდებზე დაყრდნობით, ცოდნის გაფართოების უნარი.

6.მხარეთა ინტერესების სამართლიანად დაბალანსების უზრუნველსაყოფად აანალიზებს არსებულ სამართლებრივ ღირებულებებს და საჭიროების შემთხვევაში, შეაქვს საკუთარი წვლილი ახალი ღირებულებების ფორმირებაში.

პროგრამას სწავლის შედეგები დაჯგუფებულია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონის კომპეტენციების შესაბამისად - „ცოდნა და გაცნობიერება“, „უნარი“ და „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა“, რომლებიც შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან და სამართლის დარგობრივ მახასიათებლებთან.

სილაბუსებში წარმოდგენილია, საგნის სპეციფიკისათვის დამახასიათებელი და მნიშვნელოვანი სწავლის შედეგები, რომლებიც ეხმიანება პროგრამის სწავლის შედეგებს, ამავდროულად, სილაბუსებში სწავლის შედეგებიც კლასფიცირებულია სამი კომპეტენციის შესაბამისად - „ცოდნა და გაცნობიერება“, „უნარი“ და „პასუხისმგებლობა და

ავტონომიურობა“. მაგ.: **„ევროკავშირის სამართალი და ასოცირების შეთანხმების“** სილაბუსის მიხედვით,

*ცოდნა და გაცნობიერება*

აღწერს ევროკავშირის სამართლის წყაროებს და იერარქიას, ასოცირების შეთანხმების სისტემას და ძირითად დებულებებს (რომლებიც ეხება ეროვნული სამართლის ფორმირების მეთოდებს), სამართლებრივი დაახლოების (აპროქსიმაციის) პრინციპებს, მათ შორის დინამიური და ეტაპობრივი აპროქსიმაციის კრიტერიუმებს;

კრიტიკული გააზრებით ხსნის ევროკავშირის სამართლის გავლენის მნიშვნელობას ქართული სამართლის განვითარებაზე, აპროქსიმაციის პროცესში ეროვნული სამართლის ფორმირების საფუძვლებს და მიღებული შედეგების მიზეზ-შედეგობრიობას ანდა ეფექტურობას;

განსაზღვრავს ახალი კანონშემოქმედებითი ტექნიკის, სამართლის ფორმირების/რეფორმირებისა მეთოდების და შესაბამისობის ცხრილების გამოყენების დანიშნულებას.

*უნარი*

განმარტავს სამოსამართლეო სამართალში, კანონშემოქმედებით საქმიანობაში ევროკავშირის სამართლის პრინციპებისა და შინაარსის, მათ შორის CJEU-ის გადაწყვეტილებების შესწავლისა და ანალიზის მნიშვნელობას, რეგულირების ზეგავლენის შეფასების მნიშვნელობას და ამოიცნობს ასოცირების შეთანხმების სავაჭრო, სოციალური და გარემოსდაცვითი მიზნების ერთობლიობისა და ურთიერთკავშირების არსებობას/არარსებობას ეროვნულ სამართალში (ნორმატიულ აქტსა და ნორმატიული აქტის პროექტში).

აანალიზებს ასოცირების შეთანხმების სხვადასხვა კარების მოთხოვნათა სინქრონიზაციისა და სინეთეზის მნიშვნელობას და იკვლევს მათი ზეგავლენის ასპექტებს სამართლებრივი დაახლოების კომპლექსურ პროცესებზე, შედეგად ახდენს ცოდნისა და საკუთარი მიგნებების დემონსტრირებას აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებაში წერითი და ზეპირი კომუნიკაციის ფორმებით.

*პასუხისმგებლობა და ავტონომია*

იღებს პასუხისმგებლობის, პროფესიულ საქმიანობაში (იქნება ეს კანონშემოქმედებითი, კვლევითი თუ პრაქტიკული ბუნების) განახორციელოს იმ პრინციპების ინტეგრირება, რაც გამომდინარეობს ასოცირების შეთანხმებიდან და სამართლებრივი აპროქსიმაციის ცნებიდან ქვეყნის ეროვნული ინტერესების შესაბამისი სამართლის ფორმირების მიზნით.

ავლენს ასოცირების შეთანხმების შესაბამისი დებულებებისა და ევროკავშირის შესაბამისი კანონმდებლობის დამოუკიდებლად მოძიების და გამოყენების უნარს.

**„შედარებითი კერძო სამართლის სილაბუსის“** მიხედვით,

**ცოდნა და გაცნობიერება**

სასწავლო კურსის გავლის შემდეგ სტუდენტმა ღრმად და სისტემურად იცის თანამედროვე კერძო სამართლის განვითარების ძირითადი მიმართულებები, აშშ-ს, გერმანიის, საფრანგეთის, იტალიის თანამედროვე სამოქალაქო სამართლის ძირითადი ინსტიტუტები და თეორიები, ცალკეული ინსტიტუტების თავისებურებები, მისი ნეგატიური და პოზიტიური მომენტები, რაც აძლევს მას დასმული კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის შესაძლებლობას.

სასწავლო კურსის გავლის შემდეგ სტუდენტს გაცნობიერებული აქვს რომანულ-გერმანული სამართლის სისტემის მქონე ქვეყნების სამოქალაქო სამართლის გავლენის მნიშვნელობა ქართულ სამართალზე, ასევე თანამედროვე სამოქალაქო სამართლის პრობლემური საკითხების გადაჭრის

გზები.

უნარები

სასწავლო კურსის გავლის შემდეგ სტუდენტს შეუძლია:

განმარტების მეთოდების გამოყენებით, შედარებითი ანალიზის გზით, თანამედროვე სამოქალაქო სამართლის პრობლემების კომპლექსური შეფასება და მათი გადაწყვეტის ოპტიმალური მიმართულებების განსაზღვრა;
სამოქალაქო სამართლის თანამედროვე თეორიების პრაქტიკულ საქმიანობაში ეფექტურად გამოყენება.
საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკისა და მეცნიერული სიახლეების ანალიზი და დასაბუთებული სამართლებრივი დასკვნებისა და რეკომენდაციების ჩამოყალიბება.
სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობისა და თანამედროვე სამოქალაქო სამართლის თეორიების ნეგატიური და პოზიტიური მომენტების თაობაზე საკუთარი სამართლებრივი დასკვნების ჩამოყალიბება და აღნიშნულ საკითხებზე აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან არგუმენტირებულ მსჯელობა.
თანამედროვე სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობის, სამეცნიერო დოქტრინებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების განზოგადებული ანალიზის საფუძველზე მიღებული ცოდნის გაფართოება.

პასუხისმგებლობა და ავტონომია

სასწავლო კურსის გავლის შემდეგ სტუდენტს შეუძლია:

პრაქტიკული საქმიანობისას მხარეთა ინტერესების სამართლიანად დაბალანსების უზრუნველსაყოფად არსებული სამართლებრივი ღირებულებების ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში, ახალი ღირებულებების ფორმირებაში საკუთარი წვლილის შეტანა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

| |
|---|
| შემთხვევაში)<br><br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>o |
| შეფასება<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | ✓ | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |

| სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი |
|---|
| ა(ა)იპ – საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობაა 150 სტუდენტი. სამართლის სამაგისტრო პროგრამით სწავლის უფლება აქვთ სამართლის ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირებს, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ საერთო სამაგისტრო და უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ მისაღებ გამოცდებს სპეციალობასა და უცხო ენაში (ინგლისური/გერმანული, საჭირო დონე - B 2). უცხო ენაში გამოცდისაგან თავისუფლდება პირი, რომელიც წარმოადგენს შესაბამისი ენის ცოდნის დონის ფლობის დამადასტურებელ საერთაშორისო სერთიფიკატს. ასევე, კანდიდატი, ვისაც ინგლისურ/გერმანულ ენაზე გავლილი აქვს ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის სრული ან არასრული კურსი. შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის საკითხები, საგამოცდო პერიოდის დაწყებამდე ერთი თვით ადრე, გამოქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე: www.sangu.edu.ge<br>უსდ-ს მიერ წარმოდგენილი პროგრამის დოკუმენტის მიხედვით, საერთო სამაგისტრო გამოცდის გავლის გარეშე ჩარიცხვა ხორციელდება „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების შესაბამისად.<br>პროგრამაზე ასევე დაიშვებიან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის ბრძანება №10/ნ-ით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ შესაბამისად მობილობის (გარე და შიდა მობილობის) წესით ჩარიცხული სტუდენტები. მობილობის ვადების და პროცედურების შესახებ ინფორმაცია გონივრული ვადით ადრე განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.<br>პროგრამაზე დაშვების წინაპირობები სრულადაა ასახული სამართლის სამაგისტრო პროგრამაში და ხელმისაწვდომია საჯაროდ, უნივერსიტეტის ვებგვერდზე. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br>• სამართლის სამაგისტრო პროგრამა თანდართული დოკუმენტაციით;<br>• თვითშეფასების ანგარიში;<br>• ვებგვერდი www.sangu.edu.ge. |
| რეკომენდაციები:<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და  სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის  შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ა(ა)იპ – საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დოკუმენტიდან ირკვევა, რომ პროგრამის კომპონენტებია: სასწავლო, პრაქტიკული და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი.

სასწავლო კომპონენტი წარმოდგენილია (1) სავალდებულო სასწავლო კურსების, (2) საჯარო, კერძო და სისხლის სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსების სახით. ერთ-ერთი არჩევითი მოდულიდან სტუდენტმა უნდა დააგროვოს არაუმეტეს 24 კრედიტისა, ხოლო დანარჩენი კრედიტები უფლება აქვს, და სასურველია, შეავსოს სხვა არჩევითი მოდულებიდან.

(1) **სავალდებულო სასწავლო კურსებში** სტუდენტმა უნდა დააგროვოს 24 კრედიტი.

სავალდებულო სასწავლო კურსები მოიცავს ევროკავშირის სამართლისა და ასოცირების შეთანხმების, სამოსამართლეო სამართლისა და სამოსამართლეო ეთიკის, აკადემიური წერის და სამეცნიერო კვლევის მეთოდების და დარგობრივი უცხო ენის (ინგლისური, გერმანული) სწავლებას.

(2) საჯარო, კერძო და სისხლის სამართლის მოდული:

საჯარო, კერძო და სისხლის სამართლის მოდული შედგება არჩევითი სასწავლო კურსებისგან. არჩევითი სასწავლო კურსები სტუდენტს საშუალებას აძლევს, საკუთარი სურვილისა და ინტერესების გათვალისწინებით მოახდინოს საგნების კონცენტრაცია და შეიძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა, შესაბამისად, საჯარო, კერძო და სისხლის სამართლის სფეროში.

**პრაქტიკული კომპონენტი** პროგრამაში წარმოდგენილია 30 კრედიტის სახით, რომელსაც სტუდენტი ასრულებს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, პარტნიორ დაწესებულებაში, სამართლის კლინიკის ფარგლებში. პრაქტიკული კომპონენტის შესრულება სავალდებულოა.

თუ სტუდენტი დასაქმებულია პროფესიით, უნივერსიტეტი აწარმოებს მოლაპარაკებას შესაბამის დამსაქმებელ ორგანიზაციასთან, გამოთქვამს მზაობას, გააფორმოს მემორანდუმი, რომლითაც ასევე განისაზღვრება პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში სტუდენტის შეფასების დეტალები.

სამართლის სამაგისტრო პროგრამის კვლევითი კომპონენტი წარმოდგენილია დამოუკიდებელი კვლევის საფუძველზე შესასრულებელი სამაგისტრო კვლევის სახით.

**სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა:**

სტუდენტის მიერ ჩატარებული დამოუკიდებელი კვლევის შედეგები აისახება მის მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომში. სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს დასრულებულ სამუშაოს, რომელიც უნდა ასახავდეს სტუდენტის უნარს, ჩაატაროს კვლევითი ან სხვა სახის სამუშაოები. წარმოდგენილი ნაშრომის დაცვისას სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს მის მიერ შესრულებული სამუშაო და გამოავლინოს დისკუსიაში მონაწილეობის უნარი.

სამაგისტრო ნაშრომი სტუდენტმა უნდა შეასრულოს სამართლის იმ მიმართულებით, რომლიდანაც, არჩევითი სასწავლო კურსების ხარჯზე დაგროვილი აქვს არანაკლებ 18 კრედიტი. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს კვლევის/პროექტის დამოუკიდებლად განხორციელების შესაძლებლობას, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან (თვითშეფასების ანგარიში, სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა) ირკვევა, რომ სამართლის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, შეიცვალა საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა, კერძოდ საგანი „სამართლის ფილოსოფია“ ამოღებული იქნა საგნების ჩამონათვალიდან. სავალდებულო საგნების ჩამონათვალს დაემატა საგანები - „სამოსამართლეო სამართალი და სამოსამართლეო ეთიკა“ და „ევროკავშირის სამართალი და ასოცირების შეთანხმება.“ ასევე არჩევით საგნებს დაემატა „შედარებითი შრომის სამართალი“ და არჩევითი საგნების ჩამონათვალიდან ამოღებულ იქნა საგანი „საკონსტიტუციო კონტროლი და სამართალწარმოება.“

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული მიზნებისა და

| |
|---|
| სწავლის შედეგების მიღწევას.<br>პროგრამის შინაარსის სწავლის შედეგებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების რუკა, რომელშიც აღწერილია, რომელი სასწავლო კომპონენტი სწავლის რომელ შედეგზე გადის. სწავლის შედეგების რუკაზე დაყრდნობით, დასტურდება, რომ პროგრამის შინაარსით სწავლის შედეგები დაფარულია. საერთო ჯამში, პროგრამის შინაარსი პროპორციულია სამაგისტრო სწავლების საფეხურთან და ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას. ამასთან, სწავლების შედეგების შეფასება ხორციელდება პერიოდულად სპეციალურად შექმნილი კომისიის მიერ. ა(ა)იპ – საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან დგინდება, რომ უნივერსიტეტის მიერ პროგრამის სტრუქტურაში განხორციელებული ცვლილებებით პროგრამის სტრუქტურა შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან”. პროგრამით წარმოდგენილი სასწავლო კურსები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამა შეესაბამება ბაზრის მთხოვნებს და სრულად ასახავს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს. ასევე პროგრამაში წარმოდგენილი სწავლა- სწვლების მეთოდები შეესაბამება სტანდარტებს. შესაბამისად მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>• სამართლის სამაგისტრო პროგრამა თანდართული დოკუმენტაციით;<br>• სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დანართი №2 (სწავლის შედეგების რუკა);<br>• პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი დანართი №3;<br>• სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დანართი №1 (სასწავლო გეგმა)<br>• თვითშეფასების ანგარიში;<br>• სილაბუსები |
| რეკომენდაციები:<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):<br><br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის |

შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ა(ა)იპ – საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სამართლის სამაგისტრო პროგრამის და სასწავლო გეგმის მიხედვით, პროგრამა შედგება 32 საგნისაგან, რომელთაგანაც 4 სავალდებულო საგანია, ხოლო 28 არჩევითი. საგნები დაჯგუფებულია შემდეგნაირად: სავალდებულო სასწავლო კურსები (სამოსამართლეო სამართალი და სამოსამართლეო ეთიკა; ევროკავშირის სამართალი და ასოცირების შეთანხმება; აკადემიური წერა და სამეცნიერო კვლევის მეთოდები; დარგობრივი უცხო ენა (ინგლისური/გერმანული); კერძო სამართლის მოდული (არჩევითი სასწავლო კურსები); საჯარო სამართლის მოდული (არჩევითი სასწავლო კურსები); სისხლის სამართლის მოდული (არჩევითი სასწავლო კურსები); ასევე პროგრამა შედგება პრაქტიკული კომპონენტისგან და სამაგისტრო ნაშრომის დაცვისგან.

სასწავლო საგნის სილაბუსების შინაარსი და მათში მითითებული მასალა ეხმიანება

სამართლებრივი ცვლილებების დინამიკას, წყაროთა განახლების პრინციპს. თუმცა, სასურველი იქნებოდა თუ სილაბუსებში მაგ,: შედარებითი კერძო სამართალი, შედარებითი სანივთო სამართალი, შედარებითი სახელშეკრულებო სამართალი განახლდება უცხოური ლიტერატურა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამართლის სამაგისტრო პროგრამა
- სილაბუსები

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სასურველია, სილაბუსებში აისახოს უახლესი წყაროები/ლიტერატურა (ლექტორის აკადემიური თავისუფლების დაცვით)

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

o

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული,

| |
|---|
| სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვისას დადგინდა პროგრამის ფარგლებში პრაქტიკული, სამეცნიერო, კვლევითი და ტრანსფერული უნარების გამომუშავების უზრუნველყოფა, რაც გამოიხატება სხვადასხვა კურსში. მაგალითად, სასწავლო კურსი „აკადემიური წერა და სამეცნიერო კვლევის მეთოდები“, რომლის მიზანია სტუდენტებისათვის სამეცნიერო კვლევის შინაარსობრივი მოთხოვნების, ტექნიკური სტანდარტების, კვლევის მეთოდების სწავლება და სტუდენტთათვის კრიტიკული აზროვნებისა და აკადემიური წერის უნარის განვითარება, სტუდენტს გამოუმუშავებს აკადემიური ნაშრომის დაწერისას კვლევის შინაარსობრივი მოთხოვნებისა და ტექნიკური სტანდარტების გამოყენების უნარს, სათანადო სამეცნიერო მასალის, მათ შორის როგორც ტრადიციული, ისე ელექტრონული უახლესი რესურსების გამოყენებით.<br>მაგალითად სასწავლო კურსი „პროფესიული პრაქტიკა“, სტუდენტებს უქმნის პროფესიული პრაქტიკის რეალიზების გარემოს, კერძოდ, სტუდენტის პროფესიული პრაქტიკა შეიძლება განხორციელდეს სასამართლო ორგანოებში, იურიდიულ (საადვოკატო) ბიუროებში, საჯარო დაწესებულებებში, აგრეთვე სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციულ) ორგანიზაციებში, რომელთაც აქვთ იურიდიული პროფილი ან/ და სტრუქტურული ერთეული, რომლითაც უზრუნველყოფილია ორგანიზაციის მართვასთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტა და მიზნად ისახავს სტუდენტებში სამართლებრივი აზროვნების, სამართლებრივი პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის, პროფესიული მეტყველების უნარის განვითარებასა და საბოლოოდ მაღალი კვალიფიკაციის იურისტის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას.<br>როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან დგინდება, პრაქტიკული კომპონენტი პროგრამაში წარმოდგენილია 30 კრედიტის სახით, რომელსაც სტუდენტი ასრულებს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, პარტნიორ დაწესებულებაში, სამართლის კლინიკის ფარგლებში. პრაქტიკული კომპონენტის შესრულება სავალდებულოა. ამასთან, თუ სტუდენტი დასაქმებულია პროფესიით, უნივერსიტეტი აწარმოებს მოლაპარაკებას შესაბამის დამსაქმებელ ორგანიზაციასთან, გამოთქვამს მზაობას, გააფორმოს მემორანდუმი, რომლითაც ასევე განისაზღვრება პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში სტუდენტის შეფასების დეტალები.<br>სამართლის სამაგისტრო პროგრამის კვლევითი კომპონენტი წარმოდგენილია დამოუკიდებელი კვლევის საფუძველზე შესასრულებელი სამაგისტრო კვლევის სახით.<br>სტუდენტის მიერ ჩატარებული დამოუკიდებელი კვლევის შედეგები აისახება მის მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომში. სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს დასრულებულ სამუშაოს, რომელიც უნდა ასახავდეს სტუდენტის უნარს, ჩაატაროს კვლევითი ან სხვა სახის სამუშაოები. წარმოდგენილი ნაშრომის დაცვისას სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს მის მიერ შესრულებული სამუშაო და გამოავლინოს დისკუსიაში მონაწილეობის უნარი.<br>პროგრამა, სწავლის შედეგებისა და საფეხურის შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის შესაბამისი პრაქტიკული, სამეცნიერო, კვლევითი უნარების გამომუშავებას და სტუდენტების შესაბამის ღონისძიებებში ჩართვას. |

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამართლის სამაგისტრო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- სილაბუსები

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

o

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

